

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 193

ქალაქი ქუთაისი 30 სექტემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №253 და №323 პუნქტები.
2. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №541 – №544 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
541	მიწის ნაკვეთი	9 აპრილის ქუჩა №2, ნაკვეთი №2-3/ 9 აპრილის ქუჩა №2, ნაკვეთი №2-5	1635.0 კვ.მ.	03.01.24.461	125.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
542	შენობა-ნაგებობა	9 აპრილის ქუჩა №2, ნაკვეთი №2-4	1887.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 261.6 კვ.მ. შენობა-ნაგებობა	03.01.24.384	215 766.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
543	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი №48ა-ს დასავლეთით	4349.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობები: №1 – 134.74 კვ.მ. №2 – 391.1 კვ.მ. №3 – 94.07 კვ.მ. №4 – 20.33 კვ.მ.	03.01.24.523	288 000.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
544	შენობა-ნაგებობა	დავით და კონსტანტინეს ქუჩა, ყოფილი №2-4/გ.ტაბიძის ქუჩა №1/დავით და კონსტანტინეს ქუჩა №2	490.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 412.28 შენობა-ნაგებობა	03.02.03.165	250 000.0	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში